კონსტანტინე (კოწო) ბადრიძე

კონსტანტინე ბადრიძე დაიბადა ქუთაისში 1902 წლის 11 აპრილს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი იურიდიული განხრით. პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო 1923 წლიდან სამხედრო სკოლაში, შემდეგ სასცენო მოძრაობის პედაგოგად მუშაობდა თბილისის კინოსტუდიაში (1924-1926წწ.), მუშა-ახალგაზრდობის თეატრში (1929-1933წწ.), კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწოფო თეატრთან არსებულ დრამატულ სტუდიაში (1931-1933წწ.), თბილისის კინოაქტიორთა სკოლაში (1936-1948წწ.), მხატვრული თვითშემოქმედების კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში (1952-1956წწ.), თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და სახელმწიფო უნივერსიტეტში (1943-1947წწ.).

1939 წლიდან კ. ბადრიძე მოღვაწეობდა შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში სასცენო მოძრაობისა და ფიზიკური აღზრდის პედაგოგად. საქართველოში სპორტული აკრობატიკის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ტანვარჯიშის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა გიორგი ეგნატაშვილმა და კ. ბადრიძემ.

კონსტანტინე ბადრიძე იყო პირველი ქართველი აკრობატი, რომელმაც შეიმუშავა წყვილთა და ჯგუფური ვარჯიშები. მას ხშირად ბატალური და ინდივიდუალური სცენების დასადგმელად საქართველოს სხვადასხვა თეატრებსა და თბილისის კინოსტუდიაში იწვევდნენ. კ. ბადრიძის მიერ არის დადგმული სცენები შემდეგ ფილმებში - „წითელი ეშმაკუნები“, „გიორგი სააკაძე“, „ბაში-აჩუკი“, „მამლუქი“, „მაია წყნეთელი“ და სხვა. ასევე მუშაობდა კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლებზე - „სამი ბღენძი“, „მეფე ერეკლე“, „კოლხეთის ცისკარი“, „ესკადრის დაღუპვა“, შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლებზე - „ბორის გოდუნოვი“, „ოპტიმისტური ტრაგედია“, „არაგველები“, „ბახტრიობი“, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დადგმულ ოპერებზე - „არსენა“, „მინდია“, „დიდოსტატის მარჯვენა“.

კ. ბადრიძე ჩართული იყო საზოგადოება „ცოდნის“ აქტიურ მუშაობაში. იგი თბილისის თეატრების ახალგაზრდა მსახიობთა კვალიფიკაციის ასამაღლებად საქართველოს თეატრალური საზოგადოების დავალებით კითხულობდა ლექციებს.

1966 წელს მიენიჭა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება. 1973 წელს დაიბეჭდა კონსტანტინე ბადრიძის წიგნი „მსახიობის ყოველდღიური ვარჯიში“.

კონსტანტინე (კოწო) ბადრიძე 1980 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია თბილისში.

კონსტანტინე (კოწო) ბადრიძის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივო მოღვაწეობის ამსახველი მასალა

მოწმობა, კადრების აღრიცხვის ფურცელი, დახასიათება

1. კონსტანტინე ბადრიძის მოწმობა თბილისში მუშა-ახალგაზრდობის თეატრში („ტრამი“) მუშაობის შესახებ.
   1929 წ. 6 დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. შტამპი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

2. კონსტანტინე ბადრიძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
   1939 წ. 16 მაისი. თბილისი. ავტოგრაფი. სტამბური. ბეჭედდასმული. მელანი. 4 გვ.

3. კონსტანტინე ბადრიძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
   1957 წ. 2 მარტი. თბილისი. ავტოგრაფი. სტამბური. მელანი. 4 გვ.

4. საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის მიერ გაცემული კონსტანტინე ბადრიძის ცნობარი.
   1956 წ. 29 მაისი. თბილისი. ავტოგრაფი. სტამბური. მელანი. 3 გვ.

5. კონსტანტინე ბადრიძის დახასიათება გაცემული რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის ადმინისტრაციის მიერ.
   1957 წ. 2 აპრილი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს ინსტიტუტის დირექტორი - ილია თავაძე. 1 გვ.

ცნობები

6. კონსტანტინე ბადრიძის ცნობა თბილისის კინოაქტიორთა სკოლაში პედაგოგად მუშაობის შესახებ.
   1948 წ. 10 სექტემბერი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

7. კონსტანტინე ბადრიძის ცნობა კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრთან არსებულ დრამატულ სტუდიაში სასცენო მოძრაობის პედაგოგად მუშაობის შესახებ.
   1956 წ. 26 მაისი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

8. კონსტანტინე ბადრიძის ცნობა თბილისის მხატვრული თვითშემოქმედების კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში ფიზიკური აღზრდისა და სასცენო მოძრაობის პედაგოგად მუშაობის შესახებ.
   1956 წ. 4 ივნისი. თბილისი. შტამპი. ხელნაწერი. სტამბური. ბეჭედდასმული. მელანი. 1 გვ.

9. კონსტანტინე ბადრიძის ცნობა შ. რუსთაველის სახ. საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის ფიზაღზრდის უფროს მასწავლებლად მუშაობის შესახებ.
   1956 წ. 28 სექტემბერი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

10. კონსტანტინე ბადრიძის ცნობა შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ. (ცნობა გაცემულია საქართველოს სათეატრო მუზეუმის მიერ).
1956 წ. 2 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.

11. კონსტანტინე ბადრიძის ცნობა შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ. (ცნობა გაცემულია საქართველოს სათეატრო მუზეუმის მიერ).
1957 წ. 16 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.

12. კონსტანტინე ბადრიძის ცნობა შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ. (ცნობა გაცემულია საქართველოს სათეატრო მუზეუმის მიერ).
1959 წ. 10 მარტი. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 2 გვ.

13. კონსტანტინე ბადრიძის ცნობა შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ. (ცნობა გაცემულია საქართველოს სათეატრო მუზეუმის მიერ).
1962 წ. 26 მარტი. თბილისი. ნაბეჭდი. 3 გვ.

ოქმები, აქტები

14. ამონაწერი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმიდან, კონსტანტინე ბადრიძისათვის დამსახურებული პედაგოგის წოდების მინიჭების შესახებ.
1957 წ. 14 იანვარი. ნაბეჭდი. ასლი. 1 გვ.

15. დამადასტურებელი აქტი კონსტანტინე ბადრიძის კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ სასცენო მოძრაობის პედაგოგად მუშაობის შესახებ.
1956 წ. 15 სექტემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერენ: ვ. ჭანკვეტაძე, ა. მოშიაშვილი, ი. პანკოვი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

16. აქტი ოპერისათვის „არსენა“ კონსტანტინე ბადარიძის მიერ ფარიკაობის სცენის დადგმის შესახებ.
1958 წ. თბილისი. ნაბეჭდი. ბლანკი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

ხელშეკრულებები

17. ხელშეკრულება დადებული კინოფილმის „მარინე“ დირექტორ შალვა ქურდიანისა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის, მსახიობების ფიზიკურად მომზადების შესახებ.
1953 წ. აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

18. ხელშეკრულება დადებული საქართველოს თეატრალური საზოგადოების და კონსტანტინე ბადრიძეს შორის, თეატრალურ საზოგადოებაში ლექციების წაკითხვის შესახებ.
1954 წ. 19 იანვარი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ბეჭედდასმული. მელანი. 1 გვ.

19. ხელშეკრულება დადებული თეატრალური საზოგადოებისა და = კონსტანტინე ბადრიძეს შორის, თეატრალურ საზოგადოებაში ლექციების წაკითხვის შესახებ.
1955 წ. 10 იანვარი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

20. ხელშეკრულება დადებული საქართველოს სახლმწიფო ფილარმონიის დირექტორის გრიგოლ კოკელაძესა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის, ინდივიდუალური აკრობატიული ეტიუდის დადგმის შესახებ.
1955 წ. 25 იანვარი. თბილისი. ხელნაწერი. სტამბური. ბეჭედდასმული. მელანი. 1 გვ.

21. ხელშეკრულება დადებული ერთის მხრივ, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ წარმომადგენელ, კ/ფილმის „ჯადოსნური ფლეიტა“ („.....“) დირექტორ ალექსანრე ლორთქიფანიძესა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის, მსახიობების ფარიკაობაში მომზადების შესახებ.
1955 წ. აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

22. ხელშეკრულება დადებული კინოსტუდია „ქართული ფილმის“ წარმომადგენელ, კ/ფილმ „ბაში-აჩუკის“ დირექტორ ალექსანდრე ლორთქიფანიძესა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის ფარიკაობასა და საბრძოლო სცენებისთვის მსახიობების მომზადება
1956 წ. 13 მარი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

23. ხელშეკრულება დადებული კინოსტუდია „ქართული ფილმის“ წარმომადგენელ, კ/ფილმ „ბაში-აჩუკის“ დირექტორ ალექსანდრე ლორთქიფანიძესა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის მსახიობების მომზადება ფიზიკურად ფილმისთვის და „ბახტრიონის აღების“ სცენის დადგმის შესახებ.
1956 წ. 1 სექტემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

24. ხელშეკრულება დადებული კ. მარჯანიშვილის სახ. ასხელმწიფო თეატრის დირექტორ ივ. გვინჩიძესა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის მსახიობებისათვის ფარიკაობის შესწავლისა და პიესა „მოკვეთილში“ ფარიკაობის სცენების დადგმის შესახებ.
1956 წ. 11 სექტემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

25. ხელშეკრულება დადებული მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის დირექტორ ს. გვარამაძესა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის სპექტაკლის „ოქროს თავქოჩრიანების“ ფარიკაობის სცენების დადგმის შესახებ.
1956 წ. 1 დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

26. ხელშეკრულება დადებული ა. გრობოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორ დ. ანთაძესა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის სპექტაკლისათვის „ფილუმენა მარტურანო“ საბრძოლო სცენის დადგმის შესახებ.
1957 წ. 27 იანვარი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

27. ხელშეკრულება დადებული რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორ პ. კანდელაკსა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის სპექტაკლისათვის ა. პუშკინის „ბორის გოდუნოვი“ ბატალური სცენების დადგმის შესახებ.
1957 წ. 5 თებერვალი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

28. ხელშეკრულება დადებული სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორ შ. გაბესკირიასა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის სპექტაკლისათვის „მამლუქი“ ბატალური სცენების დადგმის შესახებ.
1957 წ. 28 მარტი. სოხუმი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

29. ხელშეკრულება დადებული მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის დირექტორ ც. გვარამაძესა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის სპექტაკლისთვის „რობინ ჰუდი“ ფარიკაობის სცენების დადგმის შესახებ.
1957 წ. 1 ივნისი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

30. ხელშეკრულება დადებული კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორ ივ. გვინჩიძესა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის სპექტაკლისათვის „ესკადრის დაღუპვა“ ბატალური სცენების დადგმის შესახებ.
1957 წ. 15 აგვისტო. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

31. ხელშეკრულება დადებული კინოსტუდია „ქართული ფილმის“ წარმომადგენელი, კ/ფილმ „მამლუქის“ დირექტორი შ. ქურდიანი და კონსტანტინე ბადრიძეს შორის მსახიობების ფიზიკურად მომზადების შესახებ.
1957 წ. 18 ნოემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

32. ხელშეკრულება დადებული რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორ დ. ანთაძესა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის სპექტაკლისათვის „ოპტიმისტური ტრაგედია“ ბატალური სცენების დადგმის შესახებ.
1958 წ. 18 იანვარი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

33. ხელშეკრულება დადებული კინოსტუდია „ქართული ფილმის“ წარმომადგენელ, კ/ფილმ „მაიამ წყნეთელის“ დირექტორ აპოლონ დარსაველიძესა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის ფილმისათვის ფარიკაობისა და ბატალური სცენების დადგმის შესახებ.
1958 წ. 15 ივნისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

34. ხელშეკრულება დადებული თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორ შ. ქუთათელაძესა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის საოპერო დადგმისთვის „არსენა“ ფარიკაობის სცენის დადგმის შესახებ.
1958 წ. 20 ივნისი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

35. ხელშეკრულება დადებული რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორ დ. ანთაძესა დაკონსტანტინე ბადრიძეს შორის სპექტაკლისათვის „არაგველები“ ბატალური და ცალკეული სცენების დადგმის შესახებ.

1958 წ. 15 ოქტომბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ბეჭედდასმული. მელანი. 1 გვ.

36. ხელშეკრულება დადებული კინოსტუდია „ქართული ფილმის“ წარმომადგენელი, კ/ფილმ „ნინოს“ დირექტორ გ. სვანელი და კონსტანტინე ბადრიძეს შორის მსახიობების ფიზიკურად მომზადების შესახებ.
1958 წ. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

37. ხელშეკრულება დადებული კინოსტუდია „ქართული ფილმის“ წარმომადგენელი, კ/ფილმ „განაჩენის“ დირექტორ სერგო სიხარულიძესა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის საბრძოლო სცენების დადგმის შესახებ.
1959 წ. იანვარი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

38. ხელშეკრულება დადებული მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის დირექტორ ნ. კიტიასა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის ახალი დადგმის „ჯადოსნური ხილაბანდი“ ფიზიკურ მოძრაობათა დადგმის შესახებ.
1960 წ. 2 იანვარი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

39. ხელშეკრულება დადებული მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის დირექტორ ნ. კიტიასა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის ახალი დადგმის „ციცია“ და „პეტკა კოსმოსში“ მოძრაობათა დადგმის შესახებ.
1960 წ. 3 მარტი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

40. ხელშეკრულება დადებული კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორის მოადგილე პავლე პატარაიასა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის სპექტაკლისათვის „კოლხეთის ცისკარი“ ბატალური სცენების დადგმის შესახებ.
1960 წ. 3 მარტი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

41. ხელშეკრულება დადებული რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორ დ. ანთაძესა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის სპექტაკლისათვის „ბახტრიონი“ ბატალური სცენების დადგმის შესახებ.
1960 წ. 5 მაისი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

42. ხელშეკრულება დადებული თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორის მოადგილე შ. ქუთათელაძესა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის ოპერისათვის „დიდოსტატის მარჯვენა“ მონაწილეების ფარიკაობაში მომზადების შესახებ.
1961 წ. 10 მარტი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

43. ხელშეკრულება დადებული მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის დირექტორ ნ. კიტიასა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის სპექტაკლისთვის „წითელი ეშმაკუნები“ ფარიკაობის სცენების დადგმის შესახებ.
1961 წ. 25 ნოემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

44. ხელშეკრულება დადებული თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორის მოადგილე შ. ქუთათელაძესა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის ოპერისათვის „მინდია“ მომღერლების ფარიკაობაში მომზადების შესახებ.
1961 წ. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

45. ხელშეკრულება დადებული მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის დირექტორ ნ. კიტიასა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის სპექტაკლისთვის „თოვლის დედოფალი“ ფიზიკური მოძრაობების დადგმის შესახებ.
1962 წ. 20 იანვარი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

46. ხელშეკრულება დადებული კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორ-განმკარგულებელი პავლე პატარაიასა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის სპექტაკლისათვის „გადაჯაჭვულნი“ ბატალური სცენების დადგმის შესახებ.
1962 წ. 5 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

47. ხელშეკრულება დადებული მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის დირექტორ ნ. კიტიასა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის სპექტაკლისთვის „თოვლის დედოფალი“ ფიზიკური მოძრაობების დადგმის შესახებ.
1962 წ. 10 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

48. ხელშეკრულება დადებული მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის დირექტორ ნ. კიტიასა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის სპექტაკლისთვის „წეროები“ ფიზიკური მოქმედების დადგმის შესახებ.
1962 წ. 20 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

49. ხელშეკრულება დადებული კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორ-განმკარგულებელი პავლე პატარაიასა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის სპექტაკლისათვის „მაია წყნეთელი“ ფარიკაობის სცენების დადგმის შესახებ.
1962 წ. 15 მაისი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

50. ხელშეკრულება დადებული მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის დირექტორ ნ. კიტიასა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის სპექტაკლისთვის „განძის კუნძული“ სცენიურ მოძრაობათა დადგმის შესახებ.
1962 წ. 27 აგვისტო. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

51. ხელშეკრულება დადებული ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრის დირექტორი შოთა დავითაძე და კონსტანტინე ბადრიძეს შორის სპექტაკლისთვის „გველის მჭამელი“ ბატალური სცენების დადგმის შესახებ.
1964 წ. იანვარი. ბათუმი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

52. ხელშეკრულება დადებული მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის დირექტორი ვ. ჯახუტაშვილი და კონსტანტინე ბადრიძეს შორის სპექტაკლისთვის „ციხე სიმაგრის საიდუმლოება“ ბატალური სცენების დადგმის შესახებ.

1965 წ. 10 დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

53. ხელშეკრულება დადებული კ/ფილმის „მაცი ხვიტია“ გადამღები ჯგუფის დირექტორი შოთა ლაფერაძესა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის ფილმში ფარიკაობის სცენის დადგმის შესახებ.
1965 წ. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

54. ხელშეკრულება დადებული კინოსტუდია „ქართული ფილმის“ წარმომადგენელი კ/ფილმის „შეხვედრა მთაში“ დირექტორ ე. ჯაგარბეკოვისა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის ფილმისთათვის საბრძოლო სცენის დადგმის შესახებ.
1966 წ. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

55. ხელშეკრულება დადებული თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის დირექტორის მოადგილე ნ. ჯაფარიძესა და კონსტანტინე ბადრიძეს შორის ოპერისათვის „მინდია“ ქოროს მომღერლებისა და სოლისტების ფარიკაობაში მომზადების შესახებ.
უთარიღო. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

პროგრამები

56. კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი. ლევან გოთუას „მეფე ერეკლე“. დადგმა - ვახტანგ ტაბლიაშვილის. მხატვარი - იოსებ სუმბათაშვილი. ფარიკაობა - კონსტანტინე ბადრიძის.
1956 წ. თბილისი. სტამბური. 1 ც. 2 ეგზ.

57. კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი. ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“. დადგმა - ა. ჩხარტიშვილის. მხატვარი - ი. სუმბათაშვილი. ფარიკაობა - კონსტანტინე ბადრიძის.
1956 წ. თბილისი. სტამბური. 1 ც.

58. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი. ალ. პუშკინის „ბორის გოდუნოვი“. რეჟისორი - დ. ალექსიძე. მხატვარი - დ. თავაძე. ბატალური სცენები - კ. ბადრიძის.
1957 წ. თბილისი. სტამბური. 1 ც.

59. მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრი. ბ. ზაიაცკის „რობინ-ჰუდი“. რეჟისორი - რ. აბულაძე. მხატვარი - კ. ჭელიძე. სასცენო მოძრაობა - კ. ბადრიძის.
1957 წ. თბილისი. სტამბური. 1 ც.

60. ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრი. ი. კალმანის „ცირკის პრინცესა“. რეჟისორი - გ. ჟორდანია. მხატვარი - დ. თაყაიშვილი. აკრობატიკა - კ. ბადრიძის.
1958 წ. თბილისი. სტამბური. 1 ც.

61. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი. ვ. ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია“. რეჟისორი - არ. ჩხარტიშვილი. მხატვარი - ი. სუმბათაშვილი. ბატალური სცენები - კ. ბადრიძის.
1958 წ. თბილისი. სტამბური. 1 ც.

62. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი. დ. გაჩეჩილაძის „ბახტრიონი“ ვაჟა-ფშაველას მოტივების მიხედვით. რეჟისორი - დ. ალექსიძე. მხატვარი - ფ. ლაპიაშვილი. ფარიკაობა - კ. ბადრიძის.
1960 წ. თბილისი. სტამბური. 1 ც.